

ზურაბ კიკნაძე (1933-2022)


*შენგან ნაჩუქარ ხეებსაც ჩამოგითვლი, თუ გინდა.
უკან დაგდევდი ბაღლი და გეხვეწებოდი, მაჩუქე-მეთქი.
შენ კი თვითეულის სახელს მეუბნებოდი და მიქებდი მათ ნაყოფს.
ჰომეროსი, ოდისეა, XXIV-330*




ფიცრების და ხის სხვა მონარჩენებისგან წიგნების თაროს „ერთად“ კეთება – ხერხვა, ჩორკნა, ჭედება – მახსოვს იმ პირველ საქმიანობად, რომლის დროსაც პირველად გავაცნობიერე „ძმაცაცობის“ თუ „კოლევიალობის“ ეს რაღაც სპეციფიური განცდა, ყოველდღიურ ოჯახურ სიახლოვესაც რომ სცდებოდა და თამაშის ჩვეულებრივ რუტინასაც. ძალიან ადრე იყო ეს, ჯერ კიდევ სანამ ამ სახლში გადმოვიდოდით, სადაც გავიზარდე და დღემდე ვცხოვრობ. მერე კიდევ ერთხელ იყო, ასევე ძლიერად – მაშინ, როცა რაღაც მიბაძვით (მაგრამ დამოუკიდებლად!) ვთარგმნე ტოლსტოის „ლევი სობაჩკა“ და სამზარეულოს მაგიდაზე დავუტოვე, დილას კი, იქვე, მისივე მარილიანი ორცხობილებით კონსტრუირებულ პატარა კოშკზე მიმაგრებული ტექსტი დამხვდა, მანქანაზე ამოხეჭდილი: „რეზოს – საუკეთესო თარგმანისთვის. უწილადე დედასაც!“ (იმ ორიოდე ბავშვურად მაღალფარდოვან „ლიტერატურიზმზე“ მინიშნებით, ჩემი მაშინ წანაკითხი ქართულიდან რომ ვისარგებლე თარგმნისას)...

მგონი, ამ „კოლევიალური მეგობრობის“ ბაზისზე მიმდინარეობდა ჩვენი დანარჩენი მამაშვილობაც (სტუმრობები, ქალაქიდან გასვლები, მცირე თუ დიდი, მის მეგობრებთან ერთად, ჩემი მეგობრებიც რომ იყვნენ და ჩემს „ბავშვობის მეგობრებად“ რომ მოვიხსენიებ დღეს; ორად

დარჩენაც ოჯახში, როცა დედაჩემი საავადმყოფოში მოხვედრილა და ზოგი „სასადილოს კერძი“ ოჯახში რომ არ მზადდებოდა ხოლმე, პირველად მიგემია, მაგალითად – აჭარული ხაჭაპური კაფე „ჩარგალში“); ძილისწინა „ზღაპრებიც“, ლოგინთან რომ მევდა და გუსტავ შვაბის წიგნიდან მიაბზობდა ელინურ მითებს, ხანდახან გადმომაწვდიდა ხოლმე, რომ ლარნაკზე ნახატი მენახა, თუ როგორ გაეფიჭრა მარსიასი აპოლონს ან რამხელა ქვევრში ჩაიმალა ევრისტევის ჰერაკლეს შიშით; ველოსიპედზე სეირნობა და ონავრობა იპოდრომის ტყეებსა და ტრასებზე; სწავლა-განათლება: ინგლისური, რობინ ჰუდის ამბების ან „პრინცის და მათხოვრის“ კითხვით და ახალი სიტყვების „გახაზვით“; წიგნებიც, ნელ-ნელა სახლიც რომ ვეღარ იტევდა და ყველგანაც რომ გვხვდებოდა, სადაც არ წავიდოდით, მათ შორის კი – მისი წიგნები, რომელთაგან ჩემთვის ნაჩუქარი პირველი – „თამუზის სიზმარია“ (1969), უთარილო წარწერით:



იგივე წიგნს, ოდნავ მუქყდიანს, დედაჩემისთვის ნაჩუქარს, აქედური წარწერა აქვს:



ასევე უთარილოდ, უავტოროდ...

ლათინურიც ადრე დავიწყეთ: ტინეიჯერი, უკვე კარგად ვკითხულობდი და ვწერდი კიდეც (მის არქივშიც ვიპოვე ერთი ამგვარი წერილი მისდამი, ამდენ ხანს შეუნახავს...) ამიტომ 1975 წელს გამოსულ „ოდისეას“, მის და თამაზ ჩხენკელის ნათარგმნს, უკვე ლათინურად აქვს მიძღვნის ვრცელი წარწერა...

აქტიური პარალელური „მუსიკობის“ (ესეც ოჯახური გარემოს ნაწილი იყო, ურიცხვი ფირფიტა ძირითადად კლასიკური მუსიკით, მაგრამ ასევე რომანსული, შანსონური და კუბური ტრადიციული სონგო-

ებიტაც კი, პლუს ჩემი ფორტეპიანოზე მეცადინეობა და მუსიკალური შვიდწლედ) მიუხედავად, ჩემს ახალგაზრდულ ინტერესებში ლინგვისტური და ლიტერატურული მაინც საგრძნობლად დომინირებდა და ასე სრულიად ლოგიკურად გავხდი კლასიკური ფილოლოგიის სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1982 წელს დავამთავრე, კარგი დიპლომით და მშობლების ამაცი სიხარულით. უბრალოდ, მუსიკას ამასობაში ისე ემძლავრა და „აერ-დაერია“ ჩემი გეგმები, რომ ოთხიოდე წლის „უსაქმური გზასაცდენილობის“ შემდეგ (ჯაზსაც კი აღარ ვუკრავდი, მხოლოდ მიხო შულღიაშვილთან ვსწავლობდი) კონსერვატორიაში ჩავაბარე კომპოზიციაზე.

წარმომიდგენია, რა განცდა და იმედგაცრუება აღმოჩნდებოდა მათთვის ეს ჩემი შემობრუნებული არჩევანი და უსაზღვროდ მადლობელი ვარ, რომ ერთი წამითაც არ უგრძნობინებიათ ჩემთვის და მართლაც ყველა პირობა შემქმნეს რუბიკონის გადასალახად. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ნელ-ნელა დაწყებულმა და მომატებულმა წარმატებებმა გააქარწყლეს ის შფოთვა და წუხილი, რომელიც არასოდეს გამოუთქვამთ. თვითონ ზურაბს ისედაც მუდამ თითქოს ერიდებოდა ჩემთვის რაიმე კრიტიკულის თქმა: ისე გავიზარდე, რომ ერთი უკმაყოფილო ან კონფლიქტური შენიშვნა არ მიმიღია პირდაპირ მისგან, ამგვარს უფრო დედაჩემს გაუზიარებდა ხოლმე და მისგან მომდიოდა საყვედურიც და, სხვათა შორის – კომპლიმენტიც, რომლის პირდაპირ გამოთქმაში დიდხანს ასევე მორცხვობდა და ისევე დედისგან ვისმენდი მის სიხარულს და ქების სიტყვას. მხოლოდ ეს ბოლო თორმეტიოდე წელი, ლამარას გარდაცვალების და ჩემი გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, გაქრა ეს „დიპლომატიური შუალობა“ და მგონია, რომ სწორედ ეს ბოლო ათწლეული კიდევ რაღაც ახალი ინტენსივობით მაკავშირებს მასთან, მის აზრებთან, შემოქმედებასთან, მის ნაფიქრ-განცდილთან ბავშვობის, აწმყოს, ისტორიის, კულტურის, სიყვარულის, პოეზიის, რელიგიის და იმ უსაზღვრობის შესახებ, სიტყვით რომ ვერ გამოითქმის და კიდევ სხვა სიმძაფრეს რომ სძენს „მეგობრულ-კოლეგიალობის“ იმ ჩემს ადრეულ განცდას...

ეს უკანასკნელი კი არც არასდროს გამქრალა: რაც მუსიკოსი გავხდი, და მერე კიდევ – გერმანიაშიც გადავბარგდი, კიდევ უფრო იმატა ჩვენმა კორესპონდენციამ, ხან გერმანულის ორიგინალთან შედარება-დაზუსტების, ხან ანტიკურის გერმანული ინტერპრეტაციის, განსკუთრებით კი მუსიკის კონტექსტში, რომლისადმი ინტერესი (მის ადრინდელ, სტუდენტობიდროინდელ ჩანაწერებს თუ არ ჩავთვლით), ასე მძაფრად და ამდენი კითხვით გამოთქმული, ადრე არც მახსოვს: გამუდმებით მთხოვდა განმარტებას და კომენტირებას, თანამედროვე

მუსიკის ესთეტიკის რაიმე ასპექტი იქნებოდა ეს, ვენის ახალი სკოლის პრინციპები, შოენბერგის ციტატა, ქსენაკისის მათემატიკური თუ არქიტექტურულ მოდელი, თუ მუსიკის ზოგადი ბუნება და არქიტექტონიკა.

შარშან, გაზაფხულზე, მარტინ ბუბერის ერთი ტექსტის ერთობლივი თარგმნა შემომთავაზა და – სად მცალია-მეთქი, ვუთხარი დაუფიქრებლად, იმ ხნის გაწამაწიასა და არეულობაში. ზაფხულში, თავის ბოლო ზაფხულს, გამიმეორა, გამომცემელი ელოდება თანხმობასო და, პანიკურად – უარი უთხარი-მეთქი... ერთ კვირაში კი მივხვდი, რა შანსიც მეძლეოდა: მასთან ნამდვილი (!) თანამშრომლობის პირველი და, როგორც მერე გაირკვა – ერთადერთი შესაძლებლობა; შეშინებულმა ვკითხე, თუ ჯერ არ გითქვამს უარი გამომცემლისთვის, გავაკეთოთ, მოვიცილი-მეთქი. არც ვაპირებდი უარის თქმასო... თურმე უკეთ ვცნობივარ, ვიდრე მეგონა...

საწყის ფაზაში კი შეგვაჩერა სიკვდილმა, მაგრამ კვლავ მინდა შევუდგე, განვაგრძო და დავამთავრო, ჩემგან მის სახსოვრად...

რეზო კიკნაძე

ოჯახსა და ბევრ მეგობართან ერთად ვგლოვობ ზურაბ კიკნაძეს, რომელიც 48 წლის განმავლობაში ჩემი ძვირფასი მეგობარი იყო.

ყოველთვის მაცნებდა მისი არაჩვეულებრივად ფართო მეცნიერული ერუდიცია, რომლითაც თავის უამრავ პუბლიკაციაში ქართველ მკითხველებს აცნობდა ძველი ახლო აღმოსავლეთის რელიგიურ ტრადიციას, ძველ აღთქმასა და ქრისტიანულ აზრივნებას ქართული ლიტერატურის ძველ ტექსტებში თუ – ქართველების ტრადიციულ ფოლკლორს. ამავე დროს თავისი ურყევი პოზიციით აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებაში. ამ დიდი პროგრამის საერთო აზრი შეიძლება გამოხატული იყოს მის მიერ შექმნილი ჟურნალის, „კადმოსის“ სათაურში. ერთხელ საუბარში მიმითითა იმაზე, რომ ბერძნული ტრადიციის მიხედვით, კადმოსს მოუტანია ფინიკიური ანბანი ევროპაში, რაც ისეთ კულტურულ სიმბიოზს ნიშნავს, რომელიც სწორედ საქართველოში ყოველთვის მეტად მნიშვნელოვანი იყოს.

ზურაბ კიკნაძის ხსოვნა ჩემთვის ამ შთამბეჭდავ პროგრამასთან დაკავშირებული დარჩება.

ვინფრიდ ბოედერი

აბსტრაქტი ABSTRACT

Ilia State University and the Editorial Board of *Kadmos* are deeply saddened by the passing of distinguished scholars, ISU Professors Emeriti, Shukia Apridonidze and Zurab Kiknadze. The journal hereby publishes in memoriam tributes and messages of condolence from professors Donald Rayfield, Luigi Magarotto, George Hewitt, Winfried Boeder, Dee Ann Holisky and Rezo Kiknadze.